



მედიეალური კვლევები

Medieval Studies

№1 • 2024

ნოდარ ზახტაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი)

ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების განვითარების პირველი საფეხურები: მასალები და მოსაზრებები¹

საქართველოში სახელოვნებათმცოდნეო მეცნიერებამ, ფორმალურადაც და რეალურადაც, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად აიდგა ფეხი. განვლილი 100 წლის განმავლობაში, ქვეყნის გრძელვადიანი ოკუპაციისა და კულტურული ფასეულობების დევალვაციის პირობებში მეცნიერების თანამდევი ძნელბედობების გათვალისწინებით, ქართულმა სახელოვნებათმცოდნეო სკოლამ სერიოზული ნაბიჯები გადადგა თანადროულ მსოფლიო სტანდარტებთან სწორებისაკენ – დიდწილად მუშაკთა ინდივიდუალური ინტელექტუალური რესურსების და დაუშრეტელი მიზანსწრაფვის წყალობით. თუმცა, ბუნებრივია, ასეთი ოპტიმისტური შეფასება დარგის წამყვან ინსტიტუციათა წიაღში წამოჭრილ ყველა, თუგინდ უმნიშვნელოვანეს საკვლევ საკითხთა გადაჭრას თანაბრად არ ეხება.

ამჯერად გვსურს ყურადღება გავამახვილოთ ჯერ კიდევ XX ს-ის 20-იან და 30-იან წლებში ქართული ხელოვნების ისტორიის ფუძემდებლის, აკადემიკოს გ. ჩუბინაშვილის მიერ შემუშავებულ და მისი სკოლის წარმომადგენელთა დიდი უმრავლესობის მიერ გაზიარებულ დებულებასზე, რომელიც პირველი ქართული ქრისტიანული ტაძრების სავარაუდო აღნაგობას ეხება და რომლის მართებულობის შესახებ, სულ ცოტა 4 ათწლეულია, ვნებათა ღელვა არ წყდება ქართულ ჰუმანიტარულ-საისტორიო სამეცნიერო საზოგადოებრიობაში. რამდენიმე აღიარებული თანამედროვე ქართველი მეცნიერის არგუმენტირებული მტკიცებით, სწორედ ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების გენეზისისა და განვითარების პირველი ეტაპების მართლზომიერად შეფასება წარმოადგენდა განვლილი საუკუნის განმავლობაში ქართული ხელოვნების ისტორიის „აქილევსის ქუსლს“ (კიკნაძე და მირზაშვილი, 1985; კიკნაძე და მირზაშვილი, 1987).

წარმოქმნილი პრობლემის არსი შემოკლებით ასეთია: ძველი ქართული საისტორიო წერილობითი წყაროების ცნობებით, ამ ტაძრების დიდი ნაწილი მაინც, IV ს-ის პირველ ნახევარში ქართლის სახელმწიფოს ოფიციალური მიერ რომის იმპერიიდან პირველ ღვთისმსახურებთან ერთად მოწვეული ხუროთმოძღვრების უშუალო ძალისხმევით თუ ზედამხედველობით შენდებოდა (მოქცევაი ქართლისაი 1979, 34).² შესაბამისად უადრესი,

1 წაკითხულია მოხსენებად საერთაშორისო კონფერენციაზე: „ხელოვნებათმცოდნეობა საქართველოში: წარსული – დღევანდლობა – მომავალი. მიძღვნილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლისთავისადმი. თბილისი, თსუ, 16-17 ნოემბერი, 2018.

2 უნდა ითქვას, რომ ბოლო დროს ზოგიერთი საზღვარგარეთელი მკვლევარი უნდობლობით ეკიდება

IV-V სს-ის ქართული ეკლესიებისა თუ მათ ნაშთთა მაძიებელი მკვლევრები, უპირველესად წინა აზია-კავკასიის რეგიონში იმჟამად კანონიკურად აღიარებული ქრისტიანული ტაძრების გეგმარებითი და სტილისტური ნიშნების დადასტურების მოლოდინში უნდა იყვნენ (ცხადია, ამასთანავე მზად უნდა იყვნენ ამ ნაგებობათა დეტალების ადგილობრივი თავისებურებების აღნუსხვისთვისაც).

ანუ, ისტორიულ ფაქტებზე დამყარებული ლოგიკით, იბერიის სამეფოზეც უნდა ვრცელდებოდეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ქრისტიანული კულტურის ისტორიკოსთა მიერ ჯერ კიდევ ერთი საუკუნის წინ უცილობელ ჭეშმარიტებად მიჩნეული შემდეგი დებულება: რომის იმპერიასა და მისი პოლიტიკურ-კულტურულ გავლენის ქვეშ მყოფ ქვეყნებში, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდგომ, როგორც ცენტრალურ, ისე პროვინციათა საერო და სასულიერო ხელისუფალთა მცდელობით, პრაქტიკულად მყისიერად დაიწყო სიმბოლურად ახალი სარწმუნოების ძლევამოსილების განმასახიერებელი გრანდიოზული ეკლესიების მშენებლობა. ამ ქვეყნების დასახლებული პუნქტების ქრისტიანობაზე ახლად მოქცეული მოსახლეობის წირვა-ლოცვაზე სრულად მოსახმობი ტაძრების შესაქმნელად, სივრცულ-გეგმარებითი თვისებებიდან გამომდინარე, ყველაზე შესაფერისად ვრცელი, ბაზილიკური ტიპის ნაგებობანი იქნა მიჩნეული; ამიტომაც, აღნიშნულ რეგიონებში სულ რაღაც ნახევარი საუკუნის შემდეგ, უკვე მასობრივად იყო გავრცელებული დაახლოებით ერთი და იგივე გეგმარებითი სქემის, თუმცა მეტ-ნაკლები ოსტატობით და შემოქმედებითი სახესხვაობით ნაგები ბაზილიკური ტიპის ტაძრები. ცალკეული რეგიონების ბაზილიკათა ტიპოლოგიური სხვაობა ყველაზე ნაკლებად ამ ნაგებობათა აბსოლუტურ ზომებს ეხებოდა – მრევლის მაქსიმალური რაოდენობის დასწრება წირვა-ლოცვებზე, რომის იმპერიის ნებისმიერი პროვინციისა თუ სხვა ქრისტიანული სახელმწიფოების საერო თუ სასულიერო წინამძღოლთა უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა.

ამ საყოველთაოდ დადასტურებული, რეგიონისთვის დამახასიათებელი ისტორიული ტენდენციის საწინააღმდეგოდ, მთელ რიგ ცნობილ ქართველ ხელოვნების ისტორიკოსთა ნაშრომებში, მთელი მე-20 საუკუნის განმავლობაში და, პერიოდულად ამჟამადაც კი, იბერიის სამეფოს ტერიტორიაზე პირველი ქრისტიანული ტაძრების გავრცელების სავარაუდო ვითარება და ამ ეპოქის საეკლესიო ნაგებობათა გეგმარებითი თავისებურებანი სულ სხვაგვარადაა გაშუქებული. ამ თეორიის მიმდევართა ნაშრომებში, დღესაც ვხვდებით დებულებას იმის თაობაზე, რომ თითქოსდა, რომაულ-ადრებიზანტიურ სამყაროსა და მის კულტურულ წრეში მოქცეული მრავალი ქვეყნისგან განსხვავებით, იბერიის ხელისუფალნი ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარებიდან საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მინიატურულ ან მეტად მცირე ზომის, თითქმის ნებისმიერი გეგმარების ეკლესიებს აგებდნენ; ანუ, მათაც, ამ თეორიის ავტორის კვალდაკვალ, დასაშვებად მიაჩნიათ, რომ ასეთი ეკლესიები, შესაძლოა, მისიონერების მიერ დაწინაურებული ქრისტიანული ქვეყნების ეკ-

ქართულ საისტორიო წყაროებში დაცულ ცნობებს, სადაც საუბარია რომის იმპერიის ოფიციოზის კვალდაკვალ, IV საუკუნის პირველ ნახევარშივე იბერიის სახელმწიფოში ქრისტიანობის საყოველთაო რელიგიად გამოცხადებაზე. შესაბამისად, ისინი ეჭვქვეშ აყენებენ დებულებას, რომ IV-V საუკუნეების განმავლობაშივე, უკვე სავსებით ჩამოყალიბებული ქართული საეკლესიო ორგანიზაცია ქვეყნის გვიანანტიკურ დასავლურ ქრისტიანულ სამყაროსთან დამაკავშირებელი კულტურულ-პოლიტიკური „ხიდის“ როლს ასრულებდა (Rapp 2010; Rapp 2019). თუმცა ჩვენი აზრით, დღესდღეობით არავითარი რეალური საფუძველი არ გაგვაჩნია, უნდობლობა გამოვუცხადოთ ამ საბუთებს – როგორც შემდგომ დავინახავთ, ჩვენ მიერ ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევებიც, სწორედ რომ საწინააღმდეგოზე მეტყველებს.

ლესიების ზეპირი აღწერილობის საფუძველზე იგებოდა და კანონიკური გეგმარების პრინციპების დარღვევაც ამით იყო გამოწვეული.

ასეთი შეხედულების გადახედვის ხელისშემშლელ მიზეზად, ქართველ ხელოვნების ისტორიკოსთა ეს ნაწილი, სულ ცოტა ხნის წინათაც კი, იმ გარემოებას ასახელებდა, რომ აღნიშნული დებულებების რევიზიისთვის, მათ პრაქტიკულად არ გააჩნდათ მატერიალური საბუთები – აღმოსავლეთ საქართველოში ვერა და ვერ მიაკვლიეს IV ს-ში და, თუნდაც V ს-ის უკანასკნელ მეოთხედამდე აგებულ, ობიექტური დამატარილებელი ნიშნებით აღბეჭდილ, მოზრდილ, საზღვარგარეთის ადრეულ ქრისტიანულ სამყაროში მიღებული კანონიკური გეგმარების მიხედვით აგებული ეკლესიების მიწის ზევით შემორჩენილ ნიმუშებს; არქეოლოგიური მეთოდებით კი ასეთი ძეგლები ჯერ კიდევ ამ 20-ოდე წლის წინაც კი არ იყო სრულფასოვნად გამოვლენილი.

ვფიქრობთ, რომ ამ პატივცემულ მკვლევრებს ისტორიულ წყაროთა აღნიშნული მონაცემები ქრისტიანული სამყაროს დანარჩენი ქვეყნების სატაძრო ხუროთმოძღვრების შესახებ იმხანად საზღვარგარეთ უკვე გამოქვეყნებულ დიდძალ სამეცნიერო პუბლიკაციებში დაფიქსირებულ მასალებთან და დასკვნებთან რომ შეეჯერებინათ, პროფესიონალ არქეოლოგებთან მჭიდრო თანამშრომლობით საქართველოშიც უთუოდ დაიწყებდნენ თუნდაც მიწის ქვეშ მოქცეული ქრისტიანული ეკლესიების ნაშთების ინტენსიურ ძიებას, რომლებიც IV ს-ისა და V ს-ის პირველი ნახევრის რომაულ-ადრებიზანტიური სამყაროს ტაძრების ზოგად გეგმარებით ქარგაზე იქნებოდა აგებული (რა თქმა უნდა, ადგილობრივი სამშენებლო ტრადიციების და სამშენებლო მასალების შესაძლებლობების გათვალისწინებით).

ამჟამად ძნელია იმის განსჯა, თუ რატომ მოეჩვენათ აღნიშნულ ქართველ ხელოვნების ისტორიკოსებს არარეალურად იმის დაშვება, რომ ეკლესიათმშენებლობის გარიჟრაჟზე ჩვენშიც იგებოდა რომაულ-ადრებიზანტიური სტილისგან მხოლოდ რამდენადმე განსხვავებული გეგმარების, ვთქვათ, ჩრდილო-სირიულ ტიპის ქრისტიანული ბაზილიკები. იმის ახსნა, თუ რატომ ვერ მოაღწია ზეზეურად დღემდე ასეთმა ნაგებობებმა, თითქმის ადვილი ასახსნელი უნდა ყოფილიყო: მეტად დიდი ალბათობით უნდა გაეთვალისწინებინათ, რომ მომდევნო საუკუნეების განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე თითქმის განუწყვეტლად მიმდინარე საბრძოლო პერიპეტეების თუ ბუნებრივი კატაკლიზმების შედეგად ეს ტაძრები მიწასთან იქნა გასწორებული, ან მათი უკიდურესად დაზიანებული ნაშთები ძნელად საცნაურად რეკონსტრუირებული სახით შემოგვრჩა აქა-იქ (განა ამ რიგის ბაზილიკების ნაშთები, საზღვარგარეთაც უმეტესწილად საძირკვლის დონემდე დანგრეულნი არ გამოვლინდა გათხრების წყალობით?). ზუსტად ვერ ვიტყვით, თუ რატომ მოხდა ასე, მაგრამ ამ პატივცემულმა მეცნიერებმა მიზნად დაისახეს უადრესი ქართული ეკლესიები მაინცდამაინც მათ თვალსაწიერში მოქცეულ, მიწისზედა, არცთუ ჩამოყალიბებული სტილისტურ-გეგმარებითი სქემით ნაშენ, ქრონოლოგიურად და ზოგ შემთხვევაში ფუნქციურად ძნელად განსაზღვრად ნაგებობათა შორის ამოეცნოთ.³

საკვლევი პრობლემისადმი სწორედ ასეთი მიდგომის შედეგია თუნდაც ის ფაქტი, რომ მეცნიერთა ამ ჯგუფის მიერ ნეკრესის მონასტრის საძვალეზე აღმართული, ჩვენ მიერ არ-

3 დღევანდელი გადასახედიდან სერიოზული შეუსაბამობების შემცველი ამ თეორიის დამკვიდრების ობიექტური მიზეზები ძირითადად შემდეგ ვითარებაში უნდა ვეძიოთ: ქართული ხელოვნებათმცოდნეობის გარიჟრაჟზე, ქვეყნის ტერიტორიაზე მდებარე, პრაქტიკულად სრულიად შეუსწავლელი, სხვადასხვა ეპოქის უამრავი ეკლესია-მონასტრის წინასწარი სისტემატიზება და ქრონოლოგიური კლასიფიცირება, შემდგომში დიდად ღვაწლმოსილ, იმჟამად კი ჯერ პროფესიული დაოსტატების პროცესში მყოფ მეცნიერებს მოუწიათ,

ქეოლოგიური კვლევით VI საუკუნის მომდევნო პერიოდით დათარიღებული მინიატურული სამლოცველო (ბახტაძე 2010), ღღემდე ისტორიული წყაროების მიხედვით IV ს-ში ქალაქ ნეკრესში აგებულ უმნიშვნელოვანეს ქრისტიანულ ტაძართანაა გაიგივებული (ჩვენ მიერ მიკვლეული, ქვემოთ წარმოდგენილი, სავსებით კანონიკური გეგმარების, ვრცელი ბაზილიკების ნაცვლად). ეს საკმაოდ უსახური ნაგებობა, მათ მიერ შედგენილ ხელოვნების ისტორიის სახელმძღვანელოებშიც კი, ქართული საეკლესიო არქიტექტურის ერთ-ერთ უპირველეს ძეგლადაა წარმოდგენილი და, შედეგად, ტურისტულ გზამკვლევებშიც ასე მოიხსენიება.

ბუნებრივია, ასეთი წინასწარი თუ ანაქრონული თეორიების შეძლებისამებრ კორექტირება ხელოვნების ისტორიისა და ქრისტიანული არქეოლოგიის თანამედროვე მეთოდით აღჭურვილი ყველა მომდევნო თაობის მეცნიერის პირდაპირი მოვალეობაა: ბატონი გ. ჩუბინაშვილი ერთ-ერთ ცნობილ ნაშრომში თვითონვე პირდაპირ მოუწოდებს მომავალ მკვლევრებს, არ შეჩერდნენ დიდი საისტორიო პრობლემების გადაჭრის მისეულ მონახაზ-პიპოთეზებზე და დეტალურად შეისწავლონ მის მიერ ზოგადად შეფასებული ძეგლები (ჩუბინაშვილი 1948, IX-X).

და მართლაც, აღნიშნული მოძველებული თეორიის მართლზომიერების თაობაზე თანამედროვე ქართველ ისტორიკოს მეცნიერთა მნიშვნელოვანი ნაწილის თავშეკავებული შეფასებები კარდინალურად მხოლოდ მას შემდეგ შეიცვალა, რაც უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში, მხოლოდ ნაქალაქარ ნეკრესის ფარგლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებითაც კი, ჩვენ მიერ მოწყობილმა საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ექსპედიციებმა, სამი უძველესი, სავსებით კანონიკური გეგმარების, ფრიალ დიდი ზომის ქრისტიანული ბაზილიკა აღმოაჩინა. აქვე შეძლებისამებრ დეტალურად წარმოვადგენთ მათზე ჩატარებული არქეოლოგიური და სახელოვნებათმცოდნეო სამუშაოების ძირითად შედეგებს.

ჭაბუკაურის ბაზილიკა

ნეკრესის ნაქალაქარის ცენტრალურ ნაწილში, ამჟამად ჭაბუკაურის სახელწოდებით ცნობილ უბანში მდებარე ტყიან ბორცვზე ჩატარებული გათხრებით 34 მ სიგრძისა და 15 მ სიგანის სამნავიანი ბაზილიკა გამოვლინდა. ტაძარი დამანგრეველ მიწისძვრის შედეგად გამოსულა წყობიდან, თანაც, აგებიდან კატასტროფამდე, ტაძარს არსებითი რეკონსტრუქცია არ განუცდია; ამდენად, ჩვენ მიერ წარმოჩენილი ნაგებობის გეგმარებითი ელემენტები მშენებელთა თავდაპირველ ხუროთმოძღვრულ ჩანაფიქრს ასახავს.

ბაზილიკის დარბაზი 5 წყვილი მართკუთხა კვეთის სვეტით სამ ნავადაა დაყოფილი. ცენტრალური ნავის აღმოსავლეთით მართკუთხა გეგმის საკურთხეველია მოწყობილი. ის დაახ. 50 სმ-ითაა შემადლებული ბაზილიკის ნაოსის იატაკის დონიდან. როგორც ჩანს, საკურთხეველის ცენტრში ოთხ ფეხიანი ტრაპეზი-მაგიდა მდგარა: გათხრებისას ამ ადგილზე,

აღნიშნული მიმართულებით იმხანად დაგროვილი ევროპული კვლევებისადმი ფეხის აწყობის სურვილით გამოწვეულ, ერთგვარ ცაიტნოტშიც კი (ეს ტემპი, მისთვის ჩვეული გულახდილობითაა გაწერილი ბ-ნ გიორგი ჩუბინაშვილის ერთ, მეტად ცნობილ პუბლიკაციაშიც). აღბათ სწორედ ამ დიდებული კულტურული მემკვიდრეობის საჩქაროდ სისტემატიზების, საერთაშორისო პოპულარიზაციის და საუნივერსიტეტო სასწავლო პროგრამებში მწყობრი თეორიის ფორმით ასახვის სურვილმა დაამჩნია პირობითობის კვალი იმაჟამად შემუშავებულ ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ისტორიის წარმოდგენილ, ერთ-ერთ საყრდენ კონცეფციას.

ნგრევისგან ჩამარხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა მაგიდის საყრდენი, ალუბასტრისგან დამზადებული, მოჩუქურთმებული, ჯვრის რელიეფურ გამოსახულებიანი კაპიტელების ფრაგმენტები. მსგავსი, კაპიტელებით დაგვირგვინებული, ფეხებიანი ტრაპეზის მაგიდები კარგადაა ცნობილი ბიზანტიური სამყაროს IV-V სს-ის ეკლესიებიდან (Hirschfeld 1992, 127).

საკურთხევლის მარჯვნივ და მარცხნივ, გვერდითა ნაწილების გაგრძელებაზე, ასევე მართკუთხა მოხაზულობის პასტოფორიუმებია განლაგებული, რომელთაც თითო შესასვლელი აქვს დარბაზიდან. ნაოსში შესვლა შესაძლებელია სამხრეთის, დასავლეთის და ჩრდილოეთის კარების გავლით. ეკლესია ნაგებია საკმაოდ მოზრდილი, შერჩეული ფლეთილი ქვებით. შენობის ღიობების კუთხეებში, სვეტისთავებად, თაღებად და სხვა განსაკუთრებულად ზუსტად დასამუშავებელ ადგილებში უხვად ყოფილა გამოყენებული ნათალი შირიმის ქვებიც. 1-დან 1.2 მ-მდე სიგანის კედლები ნაშენია კირ-ლუღაბზე. შენობის ინტერიერი კირით მთლიანად ყოფილა გალესილი და მუქ წითლად შეღებილი. იატაკი ადგილობრივი, ბრტყლად დაპოხილი ფიქალის ქვით ყოფილა მოგებული, კირის ხსნარზე.

გათხრებმა დაგვარწმუნა, რომ ბაზილიკა ხის კონსტრუქციებზე (ნივნივებზე) დაყრდნობილი ბრტყელი და ღარიანი კრამიტის კომბინაციით შედგენილი საბურველით ყოფილა გადახურული. იატაკის ზედაპირი, მოფენილი იყო მიწისძვრის დროს ჩამოშლილი გადახურვის შემადგენელი კომპონენტებით: დაშლილი ხის ძელების ნაშთებში არეული ორივე ტიპის კრამიტისა და კერამიკული ანტეფიქსების ნამსხვრევებით, ალაგ-ალაგ კი მიმოხეული იყო დიდი ზომის რკინის ლურსმნები (სიგრძე 7,8 სმ-დან 16-18 სმ-მდე. სულ ბაზილიკის ინტერიერში 3 ასეულამდე ასეთ ლურსმანი აღმოჩნდა). ისიც საყურადღებოა, რომ აქ მრავლად აღმოჩენილი, კრამიტის ფენილების საფასადო, განაპირა ზოლების შემამკობელი, ცალ მხარეს დაკბილული, თეთრი საღებავით მოხატული, ბრტყელი კერამიკული ანტეფიქსები, მხოლოდ გადახურვის ხის კონსტრუქციების განაპირა ელემენტებზე შეიძლება დამაგრდეს.

გადასახურად დანამდვილებით ხის კონსტრუქციის გამოყენებაზე, ბაზილიკის იატაკის პრეპარაციის შედეგად აღმოჩენილი შირიმის ქვისგან ნათალი თაღის ფრაგმენტების ზომები და ფორმა მეტყველებს: მათ პარალელური გვერდები და ქვედა რკალები გათლილი აქვთ, ზურგები კი დაუმუშავებელია. ასეთი კონფიგურაცია სავსებით დასაშვებია ნაწილების გამყოფი გრძივი კოლონადის თაღებისთვის, მაშინ როდესაც, კამარების საბჯენი თაღებს ზურგებიც გათლილი უნდა ჰქონოდა.

ჩვენი აზრით, არქეოლოგიურად დაფიქსირებული ეს ფაქტები, იმ გარემოებასთან ერთად, რომ ბაზილიკის ინტერიერების გრძივ კედლებს საბჯენი თაღების საყრდენი პილიასტრები არ გააჩნიათ, მხოლოდ იმაზე შეიძლება მიგვანიშნებდეს, რომ ჭაბუკაურის ბაზილიკის ნაწილები ხის კონსტრუქციებზე დალაგებული კრამიტით იყო გადახურული, ხოლო ნაწილების გამყოფი სვეტების მწკრივები კი კარგად ნათალი ქვებით გამოყვანილ გრძივ თაღებს ქმნიდა. გადახურვის ეს მეთოდი ნასაზრდოები ჩანს უშუალოდ IV-V საუკუნეების რომაულ-ბიზანტიური სამყაროს ბაზილიკური ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ზოგადი ტენდენციებით.

ამრიგად, ჭაბუკაურის ბაზილიკაზე გადახურვის ამ მეთოდის დადასტურებით, იცვლება მრავალი ცნობილი ქართველი ხელოვნების ისტორიკოსის მიერ აღიარებული შეხედულება იმის თაობაზე, რომ, თითქოს საქართველოში აგებული უძველესი ქრისტიანული ბაზილიკების სახურავად ხის კონსტრუქციები სრულიად არ გამოიყენებოდა და ისინი უგამონა-

კლისოდ, ქვითკირის კამარებზე განლაგებული კრამიტის საბურველით იყო გადახურული (Чубинашвили 1970, 40; ბერიძე 1974, 22-23).

დღემდე მიკვლევულ ადრეული შუა საუკუნეების ქართულ საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლებში ანალოგები არ მოეპოვება ჭაბუკაურის ბაზილიკაში დადასტურებულ მართკუთხა გეგმის საკურთხეველსა. სამაგიეროდ, საკურთხევლების და მისი მიმდებარე სივრცეების მსგავსად მოწყობის ტრადიცია IV-VI საუკუნეებში საკმაოდ გავრცელებული იყო ჩრდილოეთ სირიის და „წმინდა მიწის“ (პალესტინის) ბაზილიკებში, უფრო იშვიათად კი მესოპოტამიაში, ეგვიპტეში (Mutz 1972, 36-44, 80-91; 4f, 5f; 45: pl. X-1, XI-3,6, XIII-1,3,4; Netzer 1993, 219-232).

საწინააღმდეგოდ არაერთი თაობის მრავალი ქართველი ხელოვნებათმცოდნის შეხედულებისა (Чубинашвили 1959; ბერიძე 1974, 9), საკურთხევლის მიმდებარე პასტოფორიუმების არსებობა ჭაბუკაურის ბაზილიკაში, სრულიად არ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ტაძარი VI საუკუნეზე უადრესი არ შეიძლება იყოს; როგორც დავრწმუნდით, მსგავსი პასტოფორიუმები გააჩნია IV-V საუკუნის მრავალ ქრისტიანულ ბაზილიკას სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, წინა აზიაში, ჩრდილოეთ აფრიკაში, ევროპაში (Caleri 2014, 181-194).

ხუროთმოძღვრული ანალიზის საფუძველზე გამოთქმულ ვარაუდს ჭაბუკაურის ბაზილიკის ესოდენ ადრეულ ეპოქაში აგების თაობაზე, მხარს უჭერს ტაძრის იატაკის ჰორიზონტის დაბლა საკონტროლო ჭრილების გავლების შედეგად დაფიქსირებული არქეოლოგიური სურათიც. გამოირკვა, რომ ეს ქრისტიანული ბაზილიკა აგებული ყოფილა თითქმის ასეთივე გრანდიოზული წარმართული ტაძრის ადგილზე, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად აღიარებისთანავე დაუნგრევიათ.

გამოირკვა ისიც, რომ ეს ქრისტიანული ბაზილიკა აგებული ყოფილა თითქმის ასეთივე გრანდიოზული წარმართული ტაძრის ადგილზე, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად აღიარებისთანავე დაუნგრევიათ. ბაზილიკის წინარე ტაძრის საძირკვლის დონეზე აღმოჩენილი ორიოდე შავად და ლეგად გამომწვარი, ნაპრიალები თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ ელინისტურ თუ გვიანანტიკურ ხანაში საკულტო ნაგებობა აქ უკვე არსებობდა.

ჭაბუკაურის ბაზილიკის საქართველოში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად აღიარების შემდეგ საკმაოდ მალევე აგების ვერსიას მხარს უჭერს ამ ძეგლის არქეოლოგიური გათხრისას მოპოვებული ნივთებიც. ზედ ბაზილიკის იატაკების დონეებზე და ნანგრევი ფენის სულ ქვედა პლასტებში აღმოჩენილი წითლად შეღებილი, ღარიანი და ბრტყელი კრამიტები, აგრეთვე თიხის ცალმხრივ დაკბილული ანტეფიქსების ფრაგმენტები, სტილისტური ნიშნებით ზოგადად IV-V სს-ით თარიღდება. ჭაბუკაურის ბაზილიკის სხვადასხვა ფართობზე, ასეთივე სტრატეგრაფიულ მიკვლევული, გარედან წითლად ნაპრიალები სამტუჩა დოქების, უყურო ჭინჭილების და პირმოყრილი ჯამების ფრაგმენტები საქართველოს სხვა არქეოლოგიური ძეგლებიდან (ურბნისი, ჭერეში და სხვ.) ცნობილი პარალელების გათვალისწინებით, აგრეთვე კარგად თარიღდება IV-V სს-ით.

განსაკუთრებით საყურადღებოა ბაზილიკის ნაოსის და საკურთხევლის გათხრისას, იატაკის ჰორიზონტთან ახლოს აღმოჩენილი ინტერიერის გასანათებელი ხელსაწყოების მრავალფეროვანი, მეტად საინტერესო კოლექცია. აქ მივაკვლიეთ საკმაოდ კარგად შემონახულ ბრინჯაოს ლამპალებს, რომლებსაც ზუსტი ანალოგიები მოეძებნათ IV-V საუკუნეების ბიზანტიური სამყაროს სხვადასხვა რეგიონის ლითონის მხატვრულ ნაკეთობებში (Djuric 1995, 17; Bank 1985, 56, 78, 84).

დოლოჟოჰის ბაზილიკა

2012-2017 წლებში ჩატარებული გათხრების შედეგად ნაქალაქარ ნეკრესის უკიდურეს აღმოსავლეთ უბანში, მდინარე ღურუჯის მარჯვენა ნაპირზე, პრაქტიკულად სრულად გამოვლინდა კიდევ ერთი, უფრო მასშტაბური ბაზილიკა. მისი მხოლოდ ცენტრალური, სამნავიანი დარბაზის სიგრძე-სიგანეც კი (36 მ X 18.5 მ) მნიშვნელოვნად აღემატება აღმოსავლეთ საქართველოში დღემდე ცნობილ ყველა ბაზილიკურ ტაძარს. ბაზილიკის ეს დარბაზი ნავებად 5 წყვილი ჯვრისებრი გეგმის სვეტით არის დაყოფილი. კედლები და სვეტები აგებულია ფლეთილი, კარგად ნარჩევი, აგრეთვე, მდ. ღურუჯის რიყეზე ნაგროვები ქვითა და დუღაბის ხსნარით. თაღების გამოსაყვანად და სვეტების კაპიტელებად გამოყენებულია მირიმის ნათალი ქვები. ბაზილიკის შიდა სივრცის კედლები კირით ყოფილა შელესილი.

დოლოჟოჰის ბაზილიკის შუა ნავის აღმოსავლეთ კიდეში მოწყობილი ყოფილა მკვეთრად ნალისებური გეგმური მოხაზულობის საკურთხევლის აფსიდი. საკურთხეველს ირგვლივ სასულიერო პირთა დასაბრძანებელი, ოთხსაფეხურიანი, ქვის წყობით გამოყვანილი მერხი შემოუყვება. ამ ხარისხის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში კი, დაფუძნებულია მაღალი სამეუფო ტახტი საკურთხევლიდან ასასვლელი საფეხურებით. საკურთხევლებზე ამგვარად შემოყოლებული ხარისხები და სამეუფო ტახტები (სინთრონონი), ცნობილია რომაული და ბიზანტიური სამყაროს ადრეული შუა საუკუნეების საკათედრო ტაძრებიდან – წირვისას მათზე მსხდომი იერარქები ქრისტესა და მის მოციქულებს განასახიერებდნენ (Koch 1995 36, 46).

ტაძრის საკურთხევლის ამბიონი დასავლეთისკენ ცენტრალური ნავის I წყვილ სვეტებამდე “ავანსცენისებურად” გამოდიოდა. მასზე დასავლეთიდან, აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან – ამბიონის პარამეტრის სიგანის 3 საფეხურიანი კიბით აღიოდნენ. აღსანიშნავია, რომ ამგვარი პომპეზური ამბიონი შუა საუკუნეების ქართულ ბაზილიკებში არსად არ გვხვდება; სამაგიეროდ, მსგავსი პარადული ამბიონები ახასიათებს ადრეობიზანტიური სამყაროს ცენტრალური პროვინციების ცნობილ, განსაკუთრებულად მნიშვნელოვან ბაზილიკებს (Wilkinson 1993, 18, 20).

ბაზილიკის საკურთხევლის იატაკქვეშა სივრცეში მიკვლულ იქნა ვრცელი, დაახ. 15 კვ. მ. ფართობის საძვალე-კრიპტა, რომელიც უდავოდ ტაძრის მშენებლობისა დროსაა დატანებული. ამ კამერის ცენტრალურ ნაწილში, იატაკზე, დაშენებული ყოფილა ხის ძელებით ნაშენი, მაღალი ხარისხის კირით შებათქამებული წმინდა ნაწილების ჩასასვენებელი რელიქვარიუმი, რომელიც ამჟამად გეგმის დონეზეა იკითხება. საკურთხევლის ქვეშ, ტრაპეზის მაგიდის დაბლა წმინდა ნაწილების ან წმინდანთა ნეშტების მოსათავსებელი ამგვარი აკლდამების თუ რელიქვარიუმების არსებობა სრულიად ჩვეულებრივი მოვლენაა გვიანანტიკურ რომაულ და ადრეობიზანტიურ ქრისტიანულ ტაძრებში (Milburn 1988, 213–215; Netzer 1993, 224), საქართველოში კი, მსგავსი კონსტრუქცია ამგვარად სრულყოფილი სახით პირველად აქ გამოვლინდა. საკურთხევლის მარჯვნივ და მარცხნივ, გვერდითი ნავეების გაგრძელებაზე, მოწყობილი ყოფილა სწორკუთხა გეგმის პასტოფორიუმები, ჩრდილოეთის და სამხრეთის ნავეებიდან თითო შესასვლელით.

ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ცენტრალურ დარბაზს მთელ სიგრძეზე გაუყვება მისი თანადროული, ერთიანი გარე კედლებით შექმნილ სივრცეებში მოქცეული გალერეების, ეკვდერების, და სტოების სისტემა (რომელთა შემორჩენილი სიმაღლე 1 მ-დან 1.5 მ-მდე მერყეობს), დასავლეთით კი ნართექსი. როგორც ჩრდილოეთის, ისე სამხრეთის გალერე-

რეების უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილებში ნალისებრი გეგმის აფსიდით დასრულებული ეკვდრები ყოფილა მოწყობილი.

ირგვლივ ეკვდრების, სტოებისა და ნართექსების სისტემით გარშემორტყმული სამნავიანი ბაზილიკები, IV-VI სს-ში ხუთნავიან ბაზილიკებზე არანაკლებ იყო გავრცელებული როგორც რომის იმპერიის ცენტრალურ პროვინციებში, ისე პერიფერიებში, პრაქტიკულად მთელი ადრეული ქრისტიანული სამყაროს ქვეყნებში. ავთენტური გალერეებიანად და ნართექსიანად, დოლოჭოპის ბაზილიკის სრული პერიმეტრის გარე ზომებია 44 მ X 27 მ. ამ ტაძრის დახვეწილი სივრცულ-გეგმარებითი, კონსტრუქციული და მხატვრული გადაწყვეტა ტოლს არ უდებს რომაულ-ბიზანტიური სამყაროს ცენტრალური პროვინციების ჩვენთვის ცნობილ გრანდიოზულ ადრექრისტიანულ ბაზილიკებს და ის, უდავოდ, მათ წრეში ექცევა.

დოლოჭოპის ბაზილიკასაც, ხის კონსტრუქციებზე დაყრდნობილი კრამიტის სახურავი ფარავდა. ამაზე, ჭაბუკაურის ბაზილიკის ანალოგიურად, გათხრისას დაფიქსირებული სურათი მიანიშნებს: ბაზილიკის თავდაპირველი იატაკის ზედაპირზე მიმოხეული იყო მისი დანგრევა-გადაწვის დროს ჩამოცვენილი კრამიტების ნამსხვრევებისა და დანახშირებული ხის კონსტრუქციების ფენა მათში გაბნეული უამრავი ნაჭედი ლურსმნით. ამასთან, დოლოჭოპის ბაზილიკაში ამგვარ გადახურვაზე ზეზეურად შემორჩენილი ქვის კონსტრუქციული დეტალიც მეტყველებს – ძირითად დარბაზსა და ჩრდილოეთის გარშემოსავლელს შორის შედარებით მაღალ ჰორიზონტამდე (7.2 მ) შემორჩენილი კედლის ნაშთი, რომელსაც ჩრდილოეთიდან, მთელ სიგრძეზე, დაახლ. 4.6 მ სიმაღლეზე, ერთმანეთისგან 1.5-1.7 მ-ის დამორებით დატანილი აქვს ხის ჰორიზონტალური, 24 სმ X 25 სმ კვეთის კოჭების ბუდეები.

დოლოჭოპის ბაზილიკის ასეთ ადრეულ ხანაში აგების შესაძლებლობას, საფუძვლიანობას მატებს გათხრებისას ტაძრის უადრეს სტრატეგრაფიულ ფენებში, ძირითადად თავდაპირველი იატაკის ღრმულებში ჩატკეპნილი, ქართულ არქეოლოგიური ძეგლებიდან ცნობილი, V ს-ით დათარიღებული თიხის ჭურჭლის ანალოგიური ნიმუშების ფრაგმენტებიც. განსაკუთრებით საინტერესოა იქ აღმოჩენილი ინტერიერის გასანათებელი ხელსაწყოების, ლითონის ცხაურში ჩასალაგებელი მინის კანდელებისა და ვერცხლის საკიდებლების ნაშთები. ზუსტად ამ ტიპის გასანათებელი მოწყობილობები, „პოლიკანდელონები“, ფართოდ იყო გავრცელებული ადრეიზანტიურ სამყაროში და ისინი V-VI სს-ით თარიღდება (Papadopoulou 2003, 260, სურ. 14-15).

დიდი ბაზილიკის პირველად დანგრევის ფენაში, აღმოჩნდა თიხის რამდენიმე ბრტყელი ანტეფიქსის ფრაგმენტები, რომლებზეც, ცენტრალურ ნაწილებში, გამოწვამდე ამოღარვით, პალეოგრაფიულად და კალიგრაფიულად პრაქტიკულად ერთნაირად, გამოყვანილია ქართული ასომთავრული გრაფემა „ანი“.

ბაზილიკის კონსტრუქციების ნანგრევებით დაფარულ იატაკებზე მოპოვებული ნივთიერი მასალის ანალიზით კარგად განისაზღვრა ამ ტაძრის წყობიდან პირველად გამოცვლის ხანა და ვითარებაც: ბაზილიკა დაახ. VI საუკუნის შუა ხანებში დანგრეულა ძლიერი მიწისძვრის შედეგად.

დოლოჭოპის ბაზილიკა ამის შემდეგ მალევე, სახელდახელოდ, დამოკლებული და დავიწროებული სახით მაინც აღუდგენიათ. ამ ეტაპზე მას კლასიკური ბაზილიკური სახე აღარ ჰქონია, ვინაიდან სვეტებს შორის გრძივი არეები, მხოლოდ შესასვლელების დიობებიანი ქვის წყობებით ამოაშენეს. განახლებული ტაძრის „არაბაზილიკურობაზე“ ისიც მეტყვე-

ლებს, რომ ამ კედლებში დიდი ბაზილიკის თაღებისა და კაპიტელების ნათალი ელემენტები უხვად, მაგრამ სრულიად უადგილოდ გამოუყენებიათ.

დაახლოებით VIII საუკუნეში ეს ხუროთმოძღვრულად და ალბათ კონსტრუქციულადაც უხეიროდ აღდგენილი ეკლესიაც საბოლოოდ გამოსულა წყობიდან, ალბათ არაბი დამპყრობლების მიერ ქალაქ ნეკრესის დარბევისა და საბოლოოდ გაჩანაგების შედეგად. ამის შემდეგ, ამ ტაძრის ნანგრევებს, ნაქალაქარის მიდამოებში არსებული სოფლის ტიპის დასახლებების მცხოვრებნი სასაფლაოდ იყენებდნენ.

დოლოჭოპის ამ ბაზილიკის გათხრებმა კიდევ ერთ აღმოჩენამდე მიგვიყვანა: გამოირკვა, რომ V ს-ის ეს გრანდიოზული ტაძარი კიდევ უფრო ადრეული, 25 მ-მდე სიგრძის და დაახ. 15 მ-მდე სიგანის ქრისტიანული ბაზილიკის ნანგრევებზე ყოფილა აღმართული: ამ პირველადი ნაგებობის 2-4 წყობიანი ქვის, კირით შეღესილი კედლების ნაშთები კარგად იყო შემორჩენილი ბაზილიკის ნაოსნის და ჩრდილოეთის გარშემოსავლელის ინტერიერის იატაკის ქვეშ. ჩვენ, ამ ტაძრის გეგმარების გამოვლენა, პრაქტიკულად სრულად შევძელით. უადრესად საყურადღებოა, რომ ეს გახლავთ ბაზილიკის გამარტივებული ნაირსახეობის, ე.წ. „სამეკლესიო ბაზილიკის“ ჯერჯერობით უადრესი ნიმუში საქართველოში და, შესაძლოა, მთელ ქრისტიანულ სამყაროშიც. ამ ტიპის ეკლესიები ოდნავ მოგვიანებით, VI-IX საუკუნეებში, ფართოდ გავრცელდა პრაქტიკულად მთელ საქართველოში (მეტადრე, კახეთში) და, ალბათ ამიტომაც, დიდი ხნის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე მათი გენეზისის ხანად VI საუკუნე მიიჩნეოდა. დოლოჭოპის ამ პირველი ქრონოლოგიური ფაზის ტაძრის კიდევ ერთი გეგმარებითი თავისებურება ის გახლავთ, რომ მისი ცენტრალური დარბაზის საკურთხეველი მართკუთხა გეგმური მოყვანილობისაა, საკურთხევლის ჩრდილოეთით და სამხრეთით კი, გვერდითი გალერეების აღმოსავლეთ ბოლოებში, კვადრატული ფორმის პასტოფორიუმებია მოწყობილი. ამ ტაძრის ნანგრევებში აღმოჩენილი თიხის ბრტყელი, დიდ ბაზილიკაში გამოყენებულთაგან სტილისტურად ოდნავ განსხვავებული, მხოლოდ ხის კონსტრუქციებში ჩასამაგრებლად ვარგისი ანტეფიქსები კი იმაზე მეტყველებს, რომ პირველი ეკლესიაც ხის კონსტრუქციებზე დაყრდნობილი კრამიტის საბურველით იყო გადახურული.

ამ თავდაპირველი ტაძრის იატაკის გათხრისას IV ს-ისთვის დამახასიათებელი ნივთიერი მასალა აღმოჩნდა, შესაბამისად, ნაგებობა სწორედ ამ ხანაშია აგებული (ბახტაძე 2010, სურ. 4-6). გათხრებისას გამოვლენილი სტრატეგრაფიული სურათის საფუძველზე, ძველი ბაზილიკა IV ს-ის მიწურულში დანგრეულა მიწისძვრისგან და IV-V საუკუნეთა მიჯნაზევე, მისი ნანგრევების მოსწორების შედეგად შექმნილ პლატფორმაზე ახალი, ზემოთ აღნიშნული გრანდიოზული ბაზილიკა აუგიათ.

2016 წელს, გლაზგოს უნივერსიტეტის გარემოს კვლევის ცენტრის ლაბორატორიაში ჩატარებული, ამ ტაძრის დანგრევისა და ფუნქციონირების შეწყვეტის დროინდელი ორგანული ნაშთების რადიოკარბონული დათარიღების შედეგი ასეთია: 95%-იანი ალბათობით, ეს მოვლენა მომხდარა დაახ. ჩვ. წ. 387 წელს. აქვე დავძენთ, რომ ამავე ლაბორატორიაში 2017 წელს ჩატარებული რადიოკარბონული ანალიზების შედეგებმა დოლოჭოპის დიდი ბაზილიკის საამშენებლო ფენიდან აღებული ორგანული ნაშთის თარიღად ჩვ. წ. 401 წელი განსაზღვრა დაახ. იგივე ალბათობით, დიდი ბაზილიკის „პირველი“ ნგრევის ხანის ნიმუშები კი VI ს-ის შუა ხანებით დათარიღდა. ამდენად, რადიოკარბონული მეთოდით დათარი-

ღების პასუხებმა, დოლოჭოპის კომპლექსის ყოველი ქრონოლოგიური ფაზის ნაგებობების ჩვენეულ, ტრადიციული მეთოდებით განსაზღვრულ თარიღებს, დამაჯერებლობა შემატა.

როგორც დავრწმუნდით, დოლოჭოპის დიდი ბაზილიკაც მასშტაბით, ზოგადი გეგმარებით, შემკულობის სტილით და მშენებლობის ტექნიკით, საკმაოდ ახლოს დგას ჭაბუკაურის IV ს-ის ბაზილიკის არქიტექტურულ აღნაგობასთან. ეს არც არის გასაკვირი, რადგან არქეოლოგიური კვლევისას გამოვლენილი არქიტექტურული თავისებურებანი და არტეფაქტები უფრო იმაზე მიგვანიშნებს, რომ დოლოჭოპის დიდი ბაზილიკა ქალაქ ნეკრესშივე აიგო IV-V სს-თა მიჯნაზე მომხდარი, ერთი და იმავე მიწისძვრის შედეგად დანგრეული ჭაბუკაურის ბაზილიკისა და ამავე ადგილზევე მდებარე, შედარებით მცირე ბაზილიკის ნაცვლად.

დასკვნა

ნეკრესის ნაქალაქარის ტერიტორიაზე ჩვენ მიერ გამოვლენილი სრულყოფილი გეგმარების ბაზილიკების ხუროთმოძღვრულ-სტილისტური ანალიზის, არქეოლოგიურ-სტრატეგრაფიული და, სულ ბოლო ხანს კი უახლესი ტექნოლოგიით ჩატარებული რადიოკარბონული აბსოლუტური დათარიღების მეთოდებით მიღებული დასკვნა, რომ მათი აგების ხანა IV ს-სა და V ს-ის პირველ მეოთხედს არ გადმოცდება, უკვე მრავალი ქართული და უცხოელი ხელოვნების ისტორიკოსის მიერაა აღიარებული. ამ ტაძრების სავსებით ჩამოყალიბებული, რომაულ-აღრებიზანტიური სამყაროს აღმოსავლეთის პროვინციების „სტანდარტებთან“ აგრერიგად მიახლოებული გეგმარება, სავსებით ადასტურებს ქართულ წერილობით წყაროებში ასახულ ცნობას იმის თაობაზე, რომ პირველივე ქართული ქრისტიანული ტაძრები, მართლაც იბერიის ხელისუფალთა მიერ იმჟამინდელი ქრისტიანული კულტურის ცენტრებიდან მოწვეული ან იქაურ ეკლესიათმშენებლობის მეთოდებს კარგად ნაზიარები ადგილობრივი ხუროთმოძღვრების და ოსტატთა ძალისხმევით იგებოდა. ამრიგად, საწინააღმდეგოდ ქართულ ხელოვნებათმცოდნეთა წრეებში რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში დიდწილად გაბატონებული შეხედულებისა, გამოირკვა, რომ პირველივე ქართული ქრისტიანული ტაძრების ზოგადი აღნაგობა და მათში ჩასატარებელი სალიტურგიო პროცესებისთვის აუცილებელი სივრცეები სავსებით შეესატყვისებოდა ქრისტიანული სამყაროს კულტურულად დაწინაურებული რეგიონების იმჟამინდელ, თითქმის სავალდებულო ტაძართმშენებლობის ნორმებს.




სურ.1



სურ.2



სურ.3




სურ.4



სურ.5



1



2


სურ.6




სურ.7



სურ.8




სურ.9




სურ.10




სურ.11



სურ.12



სურ.13



სურ.14

FIRST STEPS IN THE DEVELOPMENT OF GEORGIAN ECCLESIASTIC ARCHITECTURE: MATERIALS AND CONSIDERATIONS 1

Even today, in the works of the majority of Georgian art historians, we cannot see any protest against the rather strange supposition, hastily elaborated in the 1920s, according to which allegedly, unlike the whole early Christian world, the Iberian authorities, during more than a century after the recognition of Christianity as the state religion, built exceptionally miniature or rather small churches without any canonical design.

Even recently, the above mentioned Georgian art historians have named the impeding reason for revising this almost dogmatic, not documentarily confirmed opinion, stating that in order to revise the described theory, they have not had tangible materials at hand – i.e., could not find above-ground remaining samples of large churches, built in the 4th or even last quarter of the 5th centuries in East Georgia with objective dating signs, constructed in accordance with the accepted canonical planning, recognized by the early Christian foreign world.

